

აჭარის ავტონომიური რეგიონის
სსიპ აკციონერული საზოგადოება
WWW.ACCL.GE



პრეზენტაციის გეგმა

- მოკლე ინფორმაცია აჭარის აქვაკულტურის ასოციაციის შესახებ
- რეგიონში მეთევზეობის მეურნეობის საერთო რაოდენობა
- მოქმედი და გაჩერებული მეურნეობები
- მეურნეობების საერთო სიმძლავრე
- თევზის სახეობები
- ინფორმაცია საკვების შესახებ
- რეგიონის მარიკულტურა
- სამაცივრე/სასაწყობო მეურნეობა
- გასაღების ბაზარი და მოთხოვნილება
- დარგის განვითარების პერსპექტივები



აჭარის აქვაკულტურის ასოციაცია

- აჭარის აქვაკულტურის ასოციაცია შეიქმნა აჭარის სავაჭრო - სამრეწველო პალატის მიერ 2012 წელს.
- ასოციაციის მთავარი მიზანია აჭარის რეგიონში აქვაკულტურის დარგის განვითარების მხარდაჭერა.
- ასოციაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რეგიონის აქვაკულტურის სფეროზე ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.
- აქვაკულტურის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.
- კოორდინირებული მუშაობა რეგიონის აქვაკულტურის ბიზნეს სფეროში მოღვაწე ბიზნესმენებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან ასევე სამთავრობო სტრუქტურებთან, რათა ჩამოყალიბდეს ერთობლივი სტრატეგია დარგის განსავითარებლად.



თევზის მეურნეობების საერთო რაოდენობა

- აჭარის რეგიონში თევზის მეურნეობების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 96 ერთეულს.



მოქმედი მეურნეობების რიცხვი

- აჭარის რეგიონში თევზის მოქმედი მეურნეობების რიცხვი დაახლოებით შეადგენს 70 ერთეულს.



შეჩერებული მეურნეობები

- აჭარის რეგიონში შეჩერებული მეურნეობების რიცხვი შეადგენს დაახლოებით 26 ერთეულს.



მეურნეობების წარმადობა

- აჭარის რეგიონში მოქმედი თევზის მეურნეობების საერთო წარმადობა შეადგენს 400 - 500 ტონას წელიწადში.



თევზის სახეობები

აჭარის რეგიონში თევზის მეურნეობებში გამოიყვანება სულ 4 სახის თევზი:

- ამერიკული ცისარტყელა კალმახი.



- ციმბირული ზუთხი.



- ახლახანს შეიქმნა ნაკადულის კალმახისა და პალიას მეურნეობები სოფ. მერისში, ახოში და ჩაქვში (გვირაბთან).

- **შენიშვნა:** სოფ. ოქტომბერში, აკვარეთში და ჩაისუბანში მოქმედებს ზუთხის მეურნეობები.



ტბორული მეურნეობები

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ტბორული მეურნეობები, სადაც ხდება კიბოს, თეთრი სქელშუბლას, ჭრელი სქელშუბლას, თეთრი ამურის, ამერიკული და ევროპული ლოქოს გამრავლება - მოშენება.



- ზემოთ აღნიშნული მეურნეობების შექმნა შეიძლება აჭარის რეგიონში.
- არსებობს ადგილობრივი კოლხური კიბოს კულტივირებისა და მოშენების კარგი პერსპექტივა.




საკვების იმპორტი

- საქართველოში თევზის საკვების იმპორტი ხორციელდება შემდეგი ქვეყნებიდან:

ნიდერლანდები



დანია



თურქეთი



ირანი



თევზის საკვების საწარმო

თევზის საკვების საწარმო საქართველოში მდებარეობს მარნეულის რაიონში.



შენიშვნა: მარნეულის თევზის საკვები დაბალი ხარისხისაა, ხოლო ფასი მაღალი.




მარიკულტურა

- მარიკულტურა აჭარის რეგიონში არ არსებობს, მაგრამ არსებობს მისი განვითარების უდიდესი პოტენციალი.

- შესაძლებელია მიდიების მეურნეობის განვითარება.



- ასევე ზღვის კალმახის, კეფალის, ზუთხის სხვა მეურნეობების შექმნა.



მარიკულტურა

- შემუშავებულია მარიკულტურის განვითარების სხვადასხვა ტექნოლოგიები და ბიოტექნიკა, რომლის დანერგვისათვის აუცილებელია შესაბამისი სახსრების მოძიება.
- აღნიშნული კვლევები განხორციელებულია და დღესაც ხორციელდება შავი ზღვის მონიტორინგის სამმართველოს მიერ (ყოფილი ბათუმის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).
- შესაძლებელია ზღვის სანაპიროებზე ხელოვნური ყურეების აშენება.



სამაცივრე მეურნეობა

- ქ. ბათუმში მოქმედებს 2 შოკური გაყინვის მაცივარი, რომლის საშუალო ტევადობა შეადგენს 5 ტონას.



- სოფელ კოხში, ოქტომბერში, წონიარისში, ახოში , და სხვა სოფლებში საკალმახე მეურნეობებს გააჩნიათ მცირე სამაცივრე ნაგებობები.



ექსპორტი-იმპორტი

- ადგილობრივი თევზის პროდუქტებიდან ხორციელდება მხოლოდ ქაფშიას ექსპორტი თურქეთში (6 000 ტონა 2011 წ.).
- მეზობელი ქვეყნებიდან ხორციელდება ზუთხის იმპორტი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან და მრავალი სახის გაყინული პროდუქტის იმპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.



განვითარების პერსპექტივები

- თევზის საკვების წარმოების შექმნა.
- სასაწყობო/სამაცივრე მეურნეობის განვითარება.
- ალდგეს ბათუმის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი.
- მეთევზეობის დარგის მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
- თევზის დაავადებათა აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა გატარება.
- ამერიკული ცისარტყელა კალმახის წარმოების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი სახეობის მდინარის თევზის გამოყენება ინტენსიური მოშენებისათვის (წვერა, ხრამული, ტობი, მურწა, ჭანარი და სხვა.)
- თევზჭერის ფლოტის შექმნა.
- საშუალო და მცირე ზომის თევზის გადამამუშავებელი ქარხნის აშენება.
- საკონსერვო წარმოების განვითარება.
- მარიკულტურის განვითარება.
- პროდუქტის რეალიზაციისთვის და ექსპორტისთვის სტრატეგიული გეგმის შემუშავება.
- საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში თევზჭერის ლიცენზიის გადახედვა.



აჭარის აქვაკულტურის ასოციაცია

გმადლობთ!

WWW.ACCI.GE

